№ 79
ხუთშაბათი, 12 აპრილი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

№ 79
ხუთშაბათი, 12 აპრილი, 1901 წ.
რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის" ტელეფონი № 227.

იაკობ ივანეს ძე გოკიელი, შვილნი მისნი: ექიმები: **ივანე და სვიმონ, ალექსანდრე, ფრანჩესკო და სტეფანე იაკობის** ძენი, **როზალია იაკობის ასული და ანნა იაკობის ასული დემუროვისა, ალოიზ და რაფაელ ეზიკოვები და სალომე სიმონის ასული საფაროვისა** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ქ. ქუთაისში, 11 აპრილს, დილის 6 საათზედ, ხანგრძლივისა და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, პირველი თავისის საყვარელის მეუღლისა, მეორენი უსაყვარლესის დედისა და დანარჩენნი ძვირფასის დისას

ნატალია სვიმონის ასულის გოკიელისას.

გარდაცვალებულის გვამს კათოლიკეთა ეკკლესიაში გაასვენებენ საკუთარის სახლიდგან (პუშკინის ქუჩა), ხოლო იქიდგან სასაფლაოზედ დასაკრძალავად 15 აპრილს. (2—69—1)

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" **გამგეობა** ამით აცხადებს, რომ მომავალის მაისის 6 **დღესა** იმართება ქ. ტფილისში საზოგადოების სასარგებლოდ

სახალხო სეირნობა

საქველ-მოქმედო ბაზრითურთ

და საამისოდ არჩეულის კომიტეტის თავმჯდომარედ არის ქნ. **ოლღა თადეოზის ასული ჭავჭავაძისა**, რომელსაც კომიტეტის წევრთა, თუ სხვა თანამგრძნობელ პირთაგან უნდა გაეგზავნოს ყოველივე შემოწირულება. შემოწირულების გამოგზავნა შეიძლება აგრეთვე თვითონ „წერა-კითხვის საზოგადოების" კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზე, თავად აზნაურთა ქარვასლაში.

ქართული თეატრი

კვირას, 15 აპრილს,

არტისტი-ქალი **ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა**

გამართავს წარმოდგენას ქ-ნ მ. მ. საფაროვის მონაწილეობით.

წარმოდგენილი იქნება

ხათაბალა

კომედ. 4 მოქ. და 5 სურ. თხზ. გ. სუნდუკიანცისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი საფაროვისა, გაბუნია ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, ნებიერიძისა; ბ-ნნი აბაშიძე, გედევანოვი, სვიმონიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი სწორედ $8^1/_2$ საათზედ.

ბაქოში ქართველთა მიერ შემდგარმა ამხანაგობამ

„ივერიამ",

რომელსაც საგნად აქვს ნავთის და ყოველ-გვარ მთა-მადნეულობის საქმის წარმოება,—**უკვე** აიღო იჯარით ნავთიანი მიწა სანავთო აგარაკ „საბუნჩაში" და ამ მოკლე ხანში აპირებს შეუდგეს ნავთის საწარმოებელ მუშაობას.

ამასთანავე, საქმის გასადიდებლად და მკვიდრ ნიადაგზედ დასამყარებლად, ამხანაგობამ საჭიროდ სცნო—ძირითადი თანხა გაადიდოს და, ამის გამო, გამოსცეს **დამატებითი** პაები, თითო პაი ას (100) მანეთად ღირებული.

გამგენი ამხანაგობისა, ვაუწყებთ-რა ზემოხსენებულს, უმორჩილესად ვთხოვთ, ვისაც დამატებითი პაის შეძენა ჰსურს, მოჰმართოს ამხანაგობას შემდეგის ადრესით:

Въ гор. Баку. Князю Іосифу Іюлоновичу Дадіани. Въ контору торгово-промышленнаго товарищества „ИВЕРІЯ", по Меркурьевской улицѣ, въ домѣ Арафелова.

ამავე ადრესით უნდა გამოიგზავნოს ფული.

გამგენი ამხანაგობისა, სამთო ინჟინერნი:
თ. ი. ი. დადიანი.
თ. დ. გ. ჭორჭაძე.
ვ. გ. ბრაილოვსკი.
(10—6.—8)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაგანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. ზძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. $1—1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

სალამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 საათ. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

მ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი $7^1/_2—8$ ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის [illegible]. გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საკანაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეებს გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. ბ. ბეჟირბანოვი, შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, საქირურგო.—$12^1/_2—1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2—2$ საათ.

სალამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელობოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

კვირაობით:

ბ. ბ. მალალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოდ.

სამკურნალო კაბინეტი

დოქტორის

ი. იაკ. გოკიელისა,

იღებს **ვენერიულ** (სიფილისი), **საშარდე, კანის და შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს.** წამლობა ნერვების სისუსტისა ელექტრონით.

ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—12 ს. და საღამოს 5—8 საათამდე.

მიხეილის და ნემენცთა ქუჩების კუთხე, № 81, სლივიცკის სახლი. შესავალი ნემენცთა ქუჩიდგანა აქვს. (100—256—36)

მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნა მე-65 ქვეითა რეზერვის ბრიგადის პოლკოვნიკი ბარათაშვილი 1-ლ სუნჯა-კავკავის ყაზახთა რაზმის კომანდირად. ჩარიცხულ იქმნა მე 9 კავალერიის დივიზიის მე-2 ბრიგადის კომანდირი გენერალ მაიორი თავ. ჭავჭავაძე დაღისტნის ცხენოსანთა რაზმის სიაში.

გადაყვანილ იქმნა დიდის მთავარის პეტრე ნიკოლოოზის ძის ბატალიონის პოდპორუჩიკი გაბაშვილი ლეიბ-გვარდიის საპირის ბატალიონში.

ახალი ამბავი

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობა ამ დღეებში გაათავებს 1901 წლის ჯარში გასაყვან ყმაწვილ კაცთა სიების შედგენას. 15 აპრილამდის ეს სიები უნდა წარუდგინოს ტფილისის სამხედრო საკრებულოს. სიაში შეტანილი ყმაწვილი კაცნი, რომელნიც ოჯახურ გარემოებათა გამო შეღავათით სარგებლობენ, ანუ სწავლობენ საშუალო, თუ უმაღლეს სასწავლებლებში, ვალდებულნი არიან ეხლავე წარუდგინონ სამხედრო საკრებულოს მოწმობანი ოჯახურის გარემოებისა, ანუ იმ სასწავლებლებისა, რომელშიაც სწავლობენ ის ყმაწვილნი კაცნი, რომელნიც დაიბადნენ ტფილისში 1879 წლის 1 ოქტომბრიდგან 1880 წლის 1 ოქტომბრამდე და რომელთა გვარიც ზემოხსენებულ სიებში გამოტოვებულია, ვალდებულნი არიან დროით გამოცხადნენ საკრებულოში დაბადებისა და მონათვლის მოწმობებითურთ.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობა ამ მოკლე ხანში შეუდგება შორაპანში შავის-ქვის გადასატვირთ ესტოკადაზედ ფარდულის გამართვას, რაიცა 12,525 მან. დაჯდება.

⁂ ს. გომარეთში „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელმა" საზოგადოებამ უკვე დაასრულა თავის ხარჯით სკოლის ახლად შეძენილ შენობის შეკეთება, ასე რომ ახლო მომავალში უკვე დაიწყება სწავლა ახალს სადგომში. საზოგადოებას სულ ამ სკოლის შენობის მოწყობა-შეკეთებაზედ დაეხარჯა შვიდას ორმოცდა ათი მანეთი.

⁂ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ცხენის რკინის გზათა უსახელო საზოგადოების დირექტორმა ბ-ნმა რობიმ წარუდგინა ქალაქის გამგეობას 300,000 მან. იმ გარდასახადში ჩასარიცხავად, რომელიც ქალაქს ერგება საზოგადოებისაგან 15 წლის განმავლობაში. ქალაქის გამგეობამ, გუშინდელს სხდომაზედ განიხილა რა ეს საქმე, დაადგინა დაავალოს ქალაქის იურის კონსულტს საჩივარი აღძრას ტფილისის ოლქის სასამართლოში, რომ ამ წესით დაუბრუნდეს შეტანილი 300,000 მ. უკანვე.

⁂ ქალაქის ხმოსანმა თავ. ბებუთოვმა განცხადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში იმის შესახებ, რომ თუ მართმადიდებელ მცხოვრებთათვის იქმნება დათმობილი ეკკლესიისათვის ადგილი ლოტკის გორაზედ, მაშინ იქ ადგილი სხვა სარწმუნოების მცხოვრებთა ეკკლესიებისათვისაც უნდა გადაიდოს.

⁂ დღეს, 12 აპრილს, მოხდება ტფილისის გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულოს სხდომა, რომელზედაც, სხვათა შორის, განსახილველად დანიშნულია ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომლითაც გარდასწყვიტეს წელს ქალაქის ხმოსნები ერთს საარჩევნო სხდომაზედ იქმნენ ამორჩეულნი.

⁂ როგორც გვატყობინებენ, შულავერსა და მის ახლო-მახლო სოფელთა ყანებში ამ გაზაფხულის პირს ისე ძლიერ გამრავლებულა მინდვრის თაგვი, რომ 1000 დესეტინა ნათესი მინდორი სულ მთლად გაუოხრებია. ბევრგან თაგვებისაგან გადაჭმული ყანები ხელმეორედ დაუთესიათ. წელს ასე ძალზედ თაგვების გამრავლებას ხელი შეუწყო თურმე უთოვლო და უავდრო ამინდებმა.

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობაში დღეს, 12 აპრილისათვის, დანიშნული სხდომა ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიისა შემდეგის დროისათვის გადაიდვა.

⁂ როგორც „ახ. მიმ."-ს ქუთაისიდგან სწერენ, 8 აპრილს, ადგილობრივ საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება მოხდარა. კრებას, სხვათა შორის, დაუდგენია, სამას-სამასი მანეთი, მოუმატოს დირექტორთა წლიურს ჯამაგირებს და 500 მ. თავმჯდომარის ჯამაგირს, საბჭოს თავმჯდომარედ ხელ-ახლად დ. ნ. ბაქრაძე აურჩევიათ.

⁂ რკინის გზათა მთავარმა გამგეობამ დაავალა ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას ამ გზის 1902 წლის ხარჯთ-აღრიცხვა 1—20 მაისამდე წარადგინოს.

⁂ დღეს, 12 აპრილს, ქალაქის საბჭოს სხდომა ექმნება წინანდელ სხდომის დროს დარჩენილ საქმეთა განსახილველად.

⁂ უმაღლეს საცენზურო გამგეობამ აცნობა კავკასიის საცენზურო

კომიტეტს, რომ იმ ხელნაწერებზედ, თუ სხვა წიგნებზედ, რომელსაც წარუდგენენ საცენზურო კომიტეტს გამოცემის ნების დასართველად, სამ აბაზიანი მარკა უნდა იქმნას დაკრულიო.

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობამ შეიმუშავა პროექტი ავლაბარში პირველ დაწყებით სასწავლებლის შენობის აგებისა. ეს შენობა დაახლოვებით 12-იდგან 15 ათას მანეთამდე დაჯდება.

⁂ ხვალ, 13 აპრილისათვის, დანიშნულია ქალაქის პირველ დაწყებით სასწავლებლების გამგეთა და საბჭოს მკურნალთა კრება საბჭოს მიერ მოწონებულ სასწავლებლების მკურნალთა ინსტრუქციის შესახებ მოსალაპარაკებლად.

⁂ უწმინდესის სინოდის განკარგულებით, იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსთ, ყოვლად სამღვდელო ლეონიდსა და ალექსანდრეს, ამიერიდგან აღარ ექმნებათ უფლება ადგილობრივ სასულიერო სასწავლებელსა და სემინარიის მართვა-გამგეობის საქმეებში მონაწილეობა მიიღონ; ხსენებული საქმე პირდაპირ დამოკიდებული იქმნება ამიერიდან მის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის ფლაბიანეს განკარგულებაზე. („ცნობის ფურცელი“).

⁂ როგორც „ახ. მიმ.“-ს შეუტყვია, კავკასიაში მოსულ პრინცს ა. ა. ოლდენბურგელს აზრადა აქვს აარჩიოს შავი-ზღვის პირად მოხერხებული ადგილი სანატორიის გასამართავად.

⁂ როგორც „ახ. მიმ.“-ს ს. დაგოდეხიდგან სწერენ, ამ დღეებში დამწვარა ადგილობრივ მეთამბაქოეს სახომშვილის თამბაქოს ბეღელი. ზარალი 6,000 მან. უდრისო.

⁂ ამ ჟამად ტფილისში აშენებენ გადამდებ სენით ავადმყოფთა ახალის ტიპის თავ-შესაფარებს. თავშესაფარში იქმნება 40 ავადმყოფის ადგილი, 4 განყოფილება, თითოში 10 კაცი. თავშესაფარებთან ბაღიც იქმნება გაშენებული.

⁂ გუშინ, 11 აპრილს, ყარსის რკინის გზის მე-213 ვერსზედ გაიხსნა სატელეგრაფო სადგური.

⁂ როგორც „ცნ. ფურ.“-ს ჩხარიდგან სწერენ, გ. ყურულოვსა და ს. ფიფინოვს ჩხუბი მოსვლიათ და ფიფინოვს ყურულოვისათვის მუცელში დანა ჩაუცია და მძიმედ დაუჭრია. დამნაშავე ზესტაფონის პოლიციას დაუპატიმრებია.

⁂ როგორც რიონის სადგურიდგან გვატყობინებენ, 11 აპრილს, დილით, ორთქლმავალის ქვეშ მომუშავის მაშინისტის თანაშემწის მელქაძისათვის ორთქლმავალის თვალს მარცხენა ფეხი მოუმტვრევია.

⁂ როგორც ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ თაუზიდგან გვატყობინებენ, 10 აპრილს მე-392 ვერსზედ მატარებლიდგან გადმოვარდნილა გორის მაზრის სოფ. ვანირის მცხოვრები იაგორ ისაკის ძე პაპუშვილი და დაშავებულა. პაპუშვილი უბილეთოდ მიდიოდა თურმე. დაშავებული რკინის გზის ტფილისის სამკურნალოში გაჰგზავნეს.

⁂ 10 აპრილს ამიერ-კავკასიის რკინის გზის მე-186 ვერსზედ ლიანდაგზედ ქვის ზვავი ჩამოწოლილა. ლიანდაგი გაწმინდეს, მაგრამ მატარებელი 40 წუთს მაინც შეჩერდა.

⁂ 10 აპრილს, ღამე, ინჟენერის რუდნიცკის სახლიდგან მოუპარავთ საცვლები 46 მანეთისა. ქურდი გატეხილ ფანჯრიდგან შემძვრალა.

⁂ **გელათი.** 10 აპრილს, დილის 4 საათსა და 50 წუთს, მე-14 ვერსზედ, წვიმების გამო ჩამოწვა ქვის ზვავი. მატარებელი № 35 შეჩერდა 2 საათსა და 50 წუთს. გზა უკვე გასწმინდეს.

შეცდომის გასწორება: „ივერიის“ გუშინდელს №-ში, ფელეტონში, მეორე გვერდზედ, მესამე სვეტში, მესამე სტრიქონი: ლეტინგტონი. მესმის მესმის... შეცდომით არის დაბეჭდილი. უნდა იყოს: ლეტინგტონი. მაშ არა გსურთ? და შემდეგ: რიჩჩიო. მესმის, მესმის...

ქუთაისი

(მგზავრის შენიშვნა).

„სავარდო და სამაისო ქუთაისი“ ძლიერის ქარის დროს სწორედ რომ ცუდი სანახავია. ადამიანი ქუჩაზედ თავისუფლად ვეღარ დადის: ძლიერი ქარი მტვერს აყრის თავ-პირში და იძულებულ ჰყოფს თვალებზედ ხელ-დაფარებულმა იაროს ქუჩებში ან იჯდეს შინ კარ-ჩაკეტილი!.. ქუთაისისათვის წყლის მიდის გაყვანა სულზედ მისწრებაა; მაშინ წყალი ბლომად იქნება, და ქუჩების მორწყვა ადვილად შესაძლებელი შეიქნება... ქუთაისს ამის მეოხებით ფასი მოემატება და მკვიდრთა ჯანმრთელობაც დაცული იქნება მტვრის ნაწილთა ცუდის გავლენისაგან...

საქართველოს სხვა მხრიდგან ქუთაისში მისულმა ქართველმა არ შეიძლება მტვრის გარდა ყურადღება არ მიაქციოს იმ გარემოებას, რომ აქ დიდი და პატარა, თავადი და გლეხი, ვაჭარი და მუშა დიდის ყურადღებით ეკიდება საეკკლესიო საქმეთა ბედ-იღბალსა... მათი სალაპარაკო საგანი მათივე ყოვლად სამღვდელო ლეონიდე, იმერეთის ეპისკოპოსია... ძნელად აღწერს და გამოსთქვამს ადამიანი იმ აღტაცების გრძნობას, რომლითაც მკვირცხლი იმერეთი შეეგება სასიამოვნო ამბავს 1900 წლ. ყოვლად სამღვდელო ლეონიდეს იმერეთის ეპისკოპოსად დანიშვნისას. იმერეთის სამწყსო კარგად იცნობდა ყოვლადსამღვდელოს მრავალ ნაყოფიერს სამისიონერო მოღვაწეობას კავკასიის მთებში მცხოვრებთა შორის, მისს გულმხურვალე სიყვარულს მშობლიურის ეკკლესიის და ერის მიმართ, მისს ღმობიერს და მშვიდს ხასიათსა...

მერვე თვეა, რაც ყოვლად სამღვდელო ლეონიდე მოღვაწეობს იმერეთის სამწყსოში და, სიმართლე თხოულობს ვთქვათ, რომ მისს მოღვაწეობას დიდს აღტაცებაში მოჰყავს ყველანი, ყოვლად სამღვდელო ლეონიდე ყოველდღის წირვის შემდეგ ამბობს მოძღვრებას და მით ამტკიცებს, რომ იგია ღირსეული მემკვიდრე ღირსეულის მღვდელთ-მთავრის განსვენებულის გაბრიელისა. ბევრი საკეთილო განკარგულება მოახდინა ყოვლად სამღვდელომ თვისს ეპარქიაში.

ამ განკარგულებათა შორის უნდა აღვნიშნოთ მათის მეუფების განკარგულება იმერულის უზომო ტირილის შესახებ, იმ ტირილის შესახებ, რომელიც დიდს ნივთიერს ზარალს აძლევს მკვიდრთა. მათი მეუფება საყოველთაო მიწერილობაში სასულიერო წოდებას ურჩევს მხნედ წინააღუდგეს ამ დიდად მაზარალებელს ჩვეულებას და მოსპოს იგი. აგრეთვე ყურადღებოდ არ შეიძლება დატოვებულ იქმნას ის გარემოებაც, რომ მათი მეუფება სამართლიანად და სისწორით განაგებს სასულიერო წოდების საქმეებსა, თვით შედის ამ საქმეთა განხილვაში და ამის მეოხებით მოსპობილ იქმნა იმერეთში მრავალი ბოროტ-მოქმედება. მათმა მეუფებამ დიდი ყურადღება მიაქცია საეკკლესიო სამრევლო სკოლების მდგომარეობის გაუმჯობესობის, ყრმათა სწავლა-აღზრდის და მათში ქრისტიანობის დამყარების საქმეს, ყველგან და ყველაფერში მათს მეუფებას ეტყობა მართლ-მსაჯულება, შორს-მჭვრეტელობა, სამართლიანობა, ღმობიერება და სხვა თვისებანი, ესოდენ სასურველნი თითოეულის მწყემს-მთავრისათვის.

ფარი

კავკასიის მომავალი საიუბილეო სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა *)

განყოფილება მე-V. მეხილეობა, მებოსტნეობა.

მეხილეობა:

ჯგუფი 1. ახალი ხილი, კავკასიაში მოყვანილი, ათ-ათი ცალი მაინც ყოველ ჯიშისა, წვრილი ხილი კი—1 გირვანქაზედ არა-ნაკლები. კოლლექციები ამ ხილისა.

ჯგუფი 2. ხილის ასსორტიმენტები, რომლებიც სასარგებლოდაა ცნობილი ამა თუ იმ ადგილისათვის.

ჯგუფი 3. იმ ხილის კოლლექციები, რომელიც რუსეთში შემოაქვთ უცხო-ქვეყნებიდგან სავაჭროდ.

ჯგუფი 4. ისეთ მცენარეთა ნაყოფი, რომელიც მხოლოდ თბილ ქვეყნებში ხარობს: ფორთოხალი, ლიმონი და სხვანი. ორანჟერეის მცენარეთა ნაყოფი: ანანასი და სხვა.

ჯგუფი 5. სახლში ნახეირებ ხეხილის ნაყოფი.

ჯგუფი 6. ჰურჭელი, რომელშიაც ახალ ხილს ინახავენ გასასყიდად გაგზავნამდე: მოდელები, ნიმუშები, აწერილობანი და სხვა.

ჯგუფი 7. ხილის სურათი; მათი მოდელები. ხეხილის გახმობა შენახვა კოლლექციებისათვის.

ჯგუფი 8. აწერილობანი, ფოტოგრაფიული სურათები, ატლასები და სხვა; ყველა ის, რაც ხეხილის დარგვა მოშენება-შენახვას შეეხება.

მებოსტნეობა:

ჯგუფი 9. ახალი მწვანილი, ათ-ათი ცალი ყველა „სორტისა“.

ჯგუფი 10. მწვანილის ასსორტიმენტები, ყოველი კუთხისა და ადგილისა ცალკე.

ჯგუფი 11. ის გარეული მცენარეები, რომელსაც საჭმელში ხმარობენ, იმათი გერბარიები და ნიმუშები როგორც ნედლად, ისე საჭმელად მომზადებულისა.

ჯგუფი 12. კიტრები, ნესვები, საზამთროები და სხვა.

ჯგუფი 13. ეგზოტიური მწვანილი და საბოსტნე მცენარენი.

ჯგუფი 14. საბოსტნე სურნელოვანი მცენარენი.

ჯგუფი 15. პლანები, მოდელები, სურათები, საზოგადოდ ყველა ის, რაც ამ განყოფილებას შეეხება.

განყოფილება მე-VI. ტყის მოვლა-მოშენება.

ჯგუფი 1. თესლები იმ ხეებისა და ბუჩქებისა, რომლებიც კავკასიაში ხარობენ. თესლზედ ამოსული თავები, გამხმარი, სქელ ქაღალდზედ დაკრული, სახელების ზედ-წარწერით. ნერგების ნიმუშები.

ჯგუფი 2. გარეულ და ხელოვნურად გაშენებულ ტყის ხეების ნიმუშები.

ჯგუფი 3. მორგვები, შპალები და სხვა. კალათები, საბონდარო ნაწარმოები; ნახშირი.

ჯგუფი 4. ის ნაწარმოებნი ტყისა, რომელსაც საჭმელადა და სამკურნალოდ ხმარობენ.

ჯგუფი 5. იარაღი, რომელსაც ტყის ექსპლოატაციის დროს ხმარობენ. მოდელები, პლანები, ფოტოგრაფიული სურათები და სხვა მოწყობილობანი ტყის ექსპლოატაციის დროს საჭირო.

ფელეტონი

ახალი სამკურნალო საშუალება—ორგანოტერაპია.

გასულ საუკუნის უკანასკნელს წლებში აღორძინდა და გავრცელდა მკურნალობაში ეგრედ წოდებული ორგანოტერაპია ანუ კურნება ზოგიერთ სენთა სალის ცხოველებიდგან ამოღებულ შინაგან ორგანოებით, ან-და ამათგან გამონაწურ, გამოქანჩულ წვენით (ექსტრაქტით) ამ ორგანოთა შორის პირველი ალაგი უჭირავს ხარის სქესებრივ ორგანოს კაკლებს (testes) და მის ექსტრაქტს სპერმინს, ხოლო იხმარება აგრეთვე, თუმცა პირველზედ იშვიათად, ფარის-მზგავსს (Glandula thyreoidea) ჯირკვლის ექსტრაქტი—ტირეოიდინი [1]). რადგან ეს ახალი მკურნალობა არ არის მოკლებული მეცნიერულს საფუძველს და, როგორც პრაქტიკი-მკურნალები იუწყებიან, ბევრს ავადმყოფობას არჩენენ იმითი, ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია მოკლედ გავაცნო მკითხველებს, თუ რაზედ არის აშენებული ორგანოტერაპია, სადა აქვს სათავე და რა მომავალი მოელის [2]).

ამ ეგრედ წოდებულ „ახალ სამკურნალო საშუალებას“ გაცნობილნი ყოფილან ძველის დროის ხალხნიც, როგორც ამას გვამცნებენ ისტორიული საბუთები. მაგალითად, რომაელი მწერალი ოვიდიუსი თავისს ნაწერებში იხსენიებს მუსკუსის ხმარებას სამკურნალო აზრით. მუსკუსი იგივეა, რაც ზემოდ-დასახელებული სპერმინი, მხოლოდ განსხვავება ის არის, რომ პირველს ამზადებენ ერთ გვარ მცოხნავის ჯიშის ცხოველის სქესებრივ ორგანოებიდგან; ეს ცხოველი წააგავს ჩვენებურს ფსიტს და სცხოვრობს ტიბეტისა და ჩინეთის მთებში. მე-XVIII საუკუნის კარაბადინის შემდგენელი Jean Begnin-ი სხვა წამალთა შორის ათავსებს აგრეთვე მამრი ცხოველის კაკლების ექსტრაქტსაც. თუ არა ვცდები, დღეს ჩვენი ქართველი მდაბიო ხალხიც ჰხმარობს ზოგიერთ შემთხვევებში მტრედის გულს და ნაღველას წამლად. როგორც ვხედავთ, ხალხში უძველესის დროიდგანვე ყოფილა გავრცელებული ეს ცოდნა, მაგრამ ამასთანავე ვამჩნევთ, რომ მას არავითარი წარმატება, შემუშავება არ დასტყობია ამ ხნის განმავლობაში, ვიდრე მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში მას ხელი არ მოჰკიდა გამოჩენილმა ფიზიოლოგმა და მკურნალმა საფრანგეთისამ—ბროუნ-სეკარმა. ეს იყო პირველი მკვლევარი და სულის ჩამდგმელი მეცნიერულის ორგანო-ტერაპიისა. ბროუნ სეკარი იმითი არა კმაყოფილდებოდა, როგორც მეცნიერი, რომ სალის ცხოველების ორგანოებს გამკურნავი თვისება აქვთ და შეიძლება იმათის მეოხებით მორჩენა სხვა-და-სხვა სენისაო; მას უნდოდა გაეგო, თუ რადა აქვთ ამ ორგანოებს ასეთი თვისება და, სახელდობრ, რანაირად ჰმოქმედებენ ადამიანის სხეულზედ. მან მიაქცია ყურადღება ერთს ძველის დროიდგანვე შემჩნეულს გარემოებას: როდესაც ცხოველებს ჰკოდავენ, მაგალითად, ულაყს ცხენს, ან ბუღას, ამათს სიცოცხლეში შესამჩნევი ცვლილება ჰხდება, როგორც ფიზიკური, ისე პსიხიური, სახელდობრ, დაკოდილი ცხენი და ხარი უხალისონი არიან, ნაკლები მხნეობა და ძალ-ღონეც შესუსტებული აქვთ, ხასიათი მორბილებული. დაკოდილს ადამიანს უფრო მკაფიოდ ეტყობა ეს ცვლილება, უხალისობა, სიგამხდრე, უწვერ-ულვაშობა, ყვითელი ფერი და სისუსტე. ბროუნ-სეკარი ამ მოვლენამ დააფიქრა და ბოლოს წარმოათქმევინა შემდეგი საეგებიო მოსაზრება: ალბად, სთქვა მან, მამრ ცხოველთა სქესებრივი ორგანონი, თესლის დამუშავებისა და დამზადების გარდა, უნდა ამზადებდნენ იმისთანა ნივთიერებასაც, რომელიც შემდეგ სისხლს უერთდება და სხეულისთვის აუცილებელს საზრდოს შეადგენსო. რათა უფრო ნათლად დაენახა გავლენა ამ ნივთიერებისა სხეულზედ, ადგა და მან თავისს თავზედ სცადა. 1875 წელს, როდესაც იგი კარგა მოხუცებული იყო (73 წლის), აიღო ბუღადგან ამოღებული კაკლები, დასჭრა პაწია ნაჭრებად, ჩაჰყარა ფილში, დაასხა ზედ ცოტაოდენი წყალი, გასრისა და შეჰქმნა ამ სახით რძის მაგვარი სითხე. ეს სითხე გაწურა საწურავში და დალია. მოხუცებული ბროუნ-სეკარი მეტად დიდს აღტაცებაში მოვიდა, როდესაც ამის შემდეგ იგრძნო, რომ ძალღონე და ჭაბუკური სიხალისე მოემატა. სთქვა,—ეხლა-კი უსათუოდ მივაგენ სიცოცხლის განმაახლებელ და სიბერის წინააღმდეგს წამალსაო, და ეს ამბავი შესანიშნავის სისწრაფით გავრცელდა მთელს განათლებულს კაცობრიობაში.

რასაკვირველია, დიდი იმედები, „ბროუნ-სეკარის“ სითხით გამოწვეული, იმედებადვე დარჩა, ადამიანნი ისევე ჰბერდებიან და იხოცებიან, როგორც ბროუნ-სეკარის სითხის გამოგონებამდე, მაგრამ ორი აღმოჩენილი ამბავი-კი მეცნიერებაში შეურყეველი დარჩა: ერთი ის, რომ სქესებრივ ორგანოთა გამოჭრა ან ამოცლა უშედეგოდ არა რჩება სხეულისათვის, და მეორე კიდევ ის, რომ დალევა ამ ორგანოთაგან მიღებულ ექსტრაქტისა ადამიანზედ ჰმოქმედებს განმახალისებლად, განმამხნევებლად. იმედის გაცრუებამ შემდეგ მკვლევარებს ხელ-ყური-კი არ ჩამოაყრევინა, არამედ უფრო მეტის ენერგიით შე

---

*) იხ. „ივერია“ № 78.

[1]) ფარის მზგავსი ჯირკვალი წარმოადგენს ორს ნუშის ტოლა სხეულს, გადამბულებს მოკლე ყელით და სძევს სასულეს გვერდებზედ. ამათი გასიება, გადიდება წარმოჰშობავს ეგრედ წოდებულს ჩიყვს, რომელიც ხშირად აქვთ მთის ხალხებს (სვანებს).

[2]) ცნობები ამ წერილისათვის ამოვკრიბეთ შემდეგის ჟურნალებიდგან: Журн. Медицинской химіи и органотерапіи 1901 г. №№ 24 и 23 და Науч. Обозр. 1901 г. № 3. ხოლო ვისაც ჰსურს ვრცლად გაცნობა ამ საგნისა, ვურჩევთ შემდეგს თხზულებას: „Физіолого-Химическія основы теоріи спермина и клиническіе матеріялы о терапевтическомъ примененіи спермина“, Проф. Пеля, 1898 г. С. П.

განყოფილება მე-VII. შინაური საქონელი და ფრინველი.

ჯგუფი 1. მსხვილ-ფეხა საქონელი ადგილობრივ ჯიშისა, აგრეთვე სხვა ადგილებიდგან გამოწერილი და აქ გაშენებული; მეწველი საქონელი; სამუშაო ხარები; საკლავი საქონელი: ძროხები და ხარები, კამეჩები.

ჯგუფი 2. წვრილ-ფეხა საქონელი: სხვა-და-სხვა ჯიშის ცხვარი, თუშური, ესპანური, რუსული, ოსური და სხვა, თხები ადგილობრივ ჯიშისა და ანგორული.

ჯგუფი 3. ცხენები ადგილობრივ ჯიშისა, აგრეთვე ევროპიული, მხოლოდ აქ გაშენებული.

ჯგუფი 4. ვირები და ჯორები.

ჯგუფი 5. ღორები როგორც ადგილობრივ ჯიშისა, აგრეთვე სხვა ადგილებიდგან დაბარებული.

ჯგუფი 6. ფრინველი. შინაური ფრინველი: ქათმები, ბატები, იხვები, ინდოურები, გედები, ფარშევანგები, მტრედები, მგალობელი ფრინველები და სხვანი. ნივთები და იარაღი ფრინველის მოვლა-მოშენებისათვის საჭირო: გალიები, ინკუბატორები და სხვ. მოდელები და აწერილობანი.

ჯგუფი 7. ნივთები, რომლებსაც ფრინველების დაცვისა და მფარველობის დროს ხმარობენ.

შენიშვნა. საქონლის გამოგზავნა გამოფენაზედ შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მთავრობა ნებას დართავს.

(შემდეგი იქნება)

აბრეშუმის ჭიის თესლის მომზადების შესახებ

წერილი მეორე ნუგეშინიასთან

(დასასრული *)

თანახმად ამ დასკვნათა, იმავე ზაფხულში, როცა ზემოდ მოხსენებული ორი სხვა-და-სხვა აბრეშუმიანი სახლი გაიცნო, პასტერი დაეშურა გაცნობოდა კიდევ ბევრს სხვა სააბრეშუმო სახლებსა და როგორმე უკორპუსკულო პეპლები მოეძებნა, რომ მათგან სანიმუშოდ თესლი მიეღო.

„თუმცა გვიანღა იყო, როცა მე შევუდეგი სათესლე პეპლების ძებნასო,—განაგრძობს იგი,—მაგრამ ბევრის ცდისა და კვლევის შემდეგ, როგორც იყო, ვიპოვე ორი-სამი წყვილი უკორპუსკულო პეპელი, რომლებისაგანაც მივიღე თესლი, რაიცა სრულიად საკმაო იყო, რომ კორპუსკულიან პეპლების თესლთან შემედარებინა მომავალ მოსავლის დროსაო“.

ამ ნაირად პასტერმა პირველისავე ცდის შემდეგ დაასკვნა, რომ კორპუსკულები შეადგენდნენ თვით სენს ჭიისას და არა მარტო ნიშანს სენისას, როგორც ამას მისი მოწინავე სწავლულები ფიქრობდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ კორპუსკულები შეადგენდნენ ნიშანს სხეულისა ანუ აგებულობის მოშლისას, მოდუნებისას, ანუ რაიმე მიზეზით მთელად სასიკვდილოდ განხრწნისას. ამ ნაირად, მათის შეხედულებით, პეპლებს ეს ნიშანი, კორპუსკულები, თავისს თავად, ბუნებითად უნდა გამოსჩენოდათ, რადგანაც მათ, თესლის დაყრის შემდეგ, სიკვდილი „უწერიათ“. ამ მოსაზრებით, რამდენიც ბოჭი ხანში შედის, იმოდენად სიკვდილს უახლოვდება და, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, სიკვდილის ნიშნებით, კორპუსკულებით, მდიდრდება.

პასტერი სწერს, რომ მის მოწინავეთა ამ შეხედულებას იგი მაშინ გაცნობილი არ ყოფილა და თავს ბედნიერად სთვლის, რომ არ იცნობდა, „თორემ იქნება მეც დავებნიე ამ მოსაზრებასო“,—ამბობს.

ცხადია, რომ პასტერსა და მის მოწინავეთა შორის უნდა კამათი ანუ ბაასი ატეხილიყო მას შემდეგ, როცა პასტერმა პირველი დასკვნა გამოაქვეყნა. პასტერი ამ საქმეში „უცხო კაცი“ იყო, როგორც ჩვენში იტყვიან, ისინი-კი სახელგათქმულნი მკვლევარნი, რომელთაც ამ ავადმყოფობის შესახებ უკვე დიდრონი წიგნები ჰქონდათ დაწერილი. ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ პასტერამდისაც სცადეს საღი პეპლების თესლი, მაგრამ ამაოდ. ეს ყოველივე საბუთს აძლევდა მოწინააღმდეგეებს, რომ პასტერი საქმის უცოდინარად და მისგან არჩეული გზა შემცდარად აღეარებინათ.

პასტერის მოწინააღმდეგეთა შეხედულობით, ჭიის ავადმყოფობა იყო მოარული ანუ გადამდები სენი, ხოლერის მზგავსი, რომლის ბრჭყალებისაგანაც ჭიის თესლის სისაღე ვერ იხსნიდა. ამიტომ, მათი აზრით, უნდა მონახულიყო ისეთი რამ საპკურებელი ანუ სალრჩოლებელი წამალი, თუ ბჟოლის ფოთოლზე სასხურებელი, რომელსაც ავადმყოფი ჭიები განეკურნა და პარკის ახვევა დაეცალა. ეს აზრი მაშინ თითქმის ყველგან იყო გავრცელებული, ნამეტურ ფრანგის კატრეფაჟის შრომის გამოქვეყნებით. როგორ მოახერხა პასტერმა, რომ ეს შემცდარი შეხედულება გამოედევნა მაშინდელი საზოგადოების თავიდგან—ამის შესახებ შემდეგს წერილში.

ამ შემცდარმა შეხედულობამ ჩვენამდისაც მოაღწია და ერთად-ერთი წიგნი, რომლისადმიც ჩვენებურს ინტელიგენტ-მეაბრეშუმეებს ხელი მიუწვდებათ და რომელიც, ვითომდა გვაცნობს პასტერის სისტემას—ჭიის თესლის მომზადებას, გახლავთ წიგნი ბ-ნის შავროვისა „Болѣзни шелковичнаго червя (1885 წლ.), რომელიც სანახევროდ გაჟღენთილია ამ შემცდარის შეხედულობით. ავტორი თვით პასტერს ალმაცერად უყურებს, ავტორიტეტებად სხვებს ასახელებს, სარგებლობს პასტერის მოწინააღმდეგეთა აზრებით და კარგად მოზრდილს თავისს კომპილიატიურს შრომაში ნამდვილს ერთიანს სისტემას პასტერისას არ გვაცნობს და არც არსად გვირჩევს, რომ ჩვენში ამ სისტემით თესლის მომზადება გავრცელებულ იქნეს. ამის წინააღმდეგებს-კი შეჰხვდებით მისს წიგნში. მაგალითად (გვერდი 118), პასტერის სისტემის ავკარგიანობას იგი შემდეგის გადაკრულ-გადმოკრულ აზრებით გვაცნობს: ...„Въ послѣднее (?) время выяснилось (!), что целлюлярный гренажъ весьма дѣйствительное средство противъ пебрины, но противъ мертвенности, возникающей не вслѣдствіе передачи по наслѣдству, онъ совершенно (?) безсиленъ. Это обстоятельство значительно противодѣйствуетъ полному вытѣсненію не целлюлярной грены и заставляетъ многихъ (?) призадумываться (!) надъ пользою целлюлярнаго гренажа (!)“.

ჯერ თვით არ იყო ძმარიო და შიგ შეურიეს წყალიო. გამოდის, რომ, თუ ბ-ნი შ—ვი არ გვირჩევს ცელლულიარულის სისტემით ჩვენში თესლის მომზადების გავრცელებას, საბუთიცა ჰქონია, რადგანაც ეს რაღაც „ცელლულიარული გრენაჟი“ ამ ბოლოს დროს „ბევრს“ უსარგებლოდ უცვნია! აქ, რასაკვირველია, ადგილი არა გვაქვს, რომ ბ-ნს შ—ვს კამათი გავუწიოთ; ამისი დროც მოვა. აქ მხოლოდ სიტყვამ მოიტანა, რომ დაგვესახელებინა, თუ სადამდის მიაღწია ძველმა შემცდარმა შეხედულებამ.

უფრო ცხადად გამოსთქვამს შ—ვი ამ შეხედულებას მაშინ, როდესაც ამტკიცებს, რომ ჭიის ავადმყოფობა მოარული სენი იყო და როგორც მოვიდა, ისე კიდეც წავიდაო. არ შეიძლება, რომ ეს ადგილებიც არ ამოვწეროთ აქ რუსულადვე:

პირველი (გვ. 98): „Періодъ **повальныхъ болѣзней** (ხაზ-გასმული ჩემია) шелковичнаго червя продолжался (ევროპაში) до конца 60-хъ и начала 70-хъ годовъ. Съ этого времени болѣзнь стала постепенно прекращаться, соблюдая тотъ-же порядокъ, какъ и при распространеніи, т. е. съ запада на востокъ“.

მეორე (გვ. 109): Съ 1870—72 г. начало замѣчаться (ჩვენში) нѣкоторое ослабленіе болѣзни, а затѣмъ она уменьшалась все болѣе и болѣе, такъ что къ 1873—74 г. прекратилась окончательно.“ (!). აგაშენა ღმერთმა! ჩვენ მეტი აღარა გვეთქმის-რა. თუ-კი ღმერთმა „იპრიანა“ და ავადმყოფობა „გადავარდა“, ან პასტერი რა თავს იწყენდა, ან სხვა ვინმე?!

ნ. წ.

---

*) იხ. „ივერია“ № 78.

რუსეთი

ამა მიმდინარე წლის შემოდგომაზედ პეტერბურგში სრულიად რუსეთის მეფუტკრეთა კრება მოხდება.

— მთავრობას აზრად აქვს გადაკეთოს და სხვა რიგად მოაწყოს მიწადმოქმედების სამინისტროს ადგილობრივი გამგეობანი. ამისი პროექტი უკვე შეუმუშავებიათ და ამ ცოტა ხანში ეს პროექტი სახელმწიფო საბჭოს წარედგინება განსახილველად.

— როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, მთავრობას საგუბერნიო დაწესებულებათა რეფორმაც ჰქონდა განზრახული. ეხლა გადაუწყვეტიათ რეფორმები მხოლოდ საგუბერნიო გამგეობებში მოახდინონ და სხვა საგუბერნიო დაწესებულებანი-კი ისე დასტოვონ, როგორც აქამდე იყო.

— ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ თეატრებისა და გასართობ დაწესებულებათა ანტრეპრენერებისათვის სავალდებულო გაჰხადონ წინდაწინვე ბეების შეტანა სადაც წესი და რიგია. ბეის გარდაუხდელად არც ერთი წარმოდგენის გამართვის ნება არავის მიეცემა. ბეების გარდახდა დაწესებული იქმნება არტისტების ინტერესების დასაცველად.

— ამ ცოტა ხანში სახელმწიფო საბჭოს გარდაეცემა განსახილველად ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული პროექტი ახალის წესებისა ნავთის შენახვისა, გადატანისა, გაყიდვისა და სხვათა შესახებ.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ განუმარტა ქალაქის თვით მმართველობათ, რომ იმ ინჟინერებსა და ტეხნიკოსებს, რომელნიც ქალაქის სამსახურში ახალ-ქალაქის დებულების გამოცემამდე შესულან, სახელმწიფო სამსახურის უფლებანი შერჩებათო.

— შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება დართო გაისს მოწვეულ იქმნას სრულიად რუსეთის ბეითალთა კრება.

ეცნენ ამ ბუნდოვან საგნის გამორკვევას. შემდეგ ფიზიოლოგთა ყურადღება მიექცა ამ აქსტრაქტიდგან იმ ნივთიერების გამოცალკევებას და მის ქიმიურ ბუნების შესწავლას, რომელიც ახდენდა ასეთს ცვლილებას სხეულზედ. ბეტხერისა, შრეინერისა, კობერტისა, პელისა და სხვათა გამოკვლევათა წყალობით დღეს მიღებულია ცალკედ ეს ნივთიერება და გამორკვეულია მისნი თვისებანი. ამ ნივთიერებას უწოდეს „სპერმინი“ (Sperminum). გარდა ამისა, პროფ. პელისა და თარხნიშვილის გამოკვლევით, აღმოჩნდა, რომ ეგვე ნივთიერება „სპერმინი“ მოიპოვება არა მარტო მამრთა სქესობრივ ორგანოებში, არამედ ადამიანის და ცხოველის სხვა ორგანოებშიაც: ღვიძლსა, თირკმელებსა 3) და თირკმელთა-ზედა ჯირკვლებში, საკვერცხეში, ელენთაში და სხ. თუ [illegible] ამოცლა ანუ დაკოდვა ცხოველის ჯანმრთელობას ჰვნებდა, ზიანებდა, ასეთივე ვნება უნდა მოეტანა ცხოველისათვის ანალოგიით ღვიძლისა, თირკმელებისა, ელენთისა და ყველა ჯირკვალთა ამოცლას ანუ ამოჭრას, რომლებშიაც იმყოფებოდა იგივე ნივთიერება—სპერმინი. მართლაც, ამგვარი ექსპერიმენტალური ცდა მრავლისაგან მრავალი მოახდინეს და ყოველთვის იქმნა მიღებული მოსალოდნელი შედეგი: როდესაც ბაყაყს მთლად ამოაცლიდნენ ხოლმე ღვიძლს, იმაზედ მეტად ჩქარა ჰმოქმედებდა სპირტის შესხმა კანის ქვეშ, მაშინ როდესაც იგივე სპირტი ღვიძლიან ბაყაყს სრულიად ვერაფერს აკლებდა; ამავე გვარად ჰმოქმედებდა იმაზედ ყველა გესლიანი ნივთიერებანი (ნიკოტინი, ხლოროფორმი), როდესაც ღვიძლს ამოაცლიდნენ. ამასთანავე მარტო ღვიძლის ამოცლაც თავისდა-თავად ბაყაყს რამდენისამე დღის შემდეგ წუთი-სოფელს ასალმებდა. გარდა ამისა, დაავადება ღვიძლისა თვით ადამიანსაც არ აყრის ხეირს, მას მოსდევს მოშლა, დაძაბუნება მთელის სხეულისა და ადრე თუ გვიან წუთი-სოფლის გამოსალმება.

ყველამ იცის აგრეთვე, თუ რა დიდი შედეგი მოსდევს თირკმელების ანთებას—მთელის სხეულის მოწამლვა, რადგან თირკმელების უმთავრესი დანიშნულება სხეულიდგან მავნე ნივთიერებათა გამოტანაა, და, რასაკვირველია, რაკი რაიმე მიზეზის გამო ისინი თავის საქმეს ვერ ასრულებენ, ეს მავნე ნივთიერებანი დარჩებიან სხეულში და გამოიწვევენ საზოგადო მოწამვლას, მოშხამვას. თირკმელთა-ზედა ჯირკვლების დაავადება იწვევს მკურნალთაგან კარგად ცნობილს, ეგრედ წოდებულს ადისსონის ანუ ბრინჯაოს ფერ ავადმყოფობას, ხოლო ამოცლა მათი მთლად—სიკვდილს. კუჭის-ქვეშე ჯირკვლის დაავადება იწვევს ეგრედ წოდებულს შაქრის ავადმყოფობას (diabetes 4). ფარის მსგავსს (Glandula thyreoidea) ჯირკვლის ამოცლა შესამჩნევად ჰმოქმედებს როგორც ადამიანის, ისე ცხოველების სხეულზედ. აი რას ამბობს მკურნალი კუპერი, რომელმაც თავისის ხელით ამოსჭრა ეს ჯირკვალი ყიყვით ავადმყოფს ადამიანს: ხელები ნიჩაბივით გაუპრტყელდა, კანი გაუშრა და აქერტლება იწყო, თმა გასცვივდა, დეტყო საგრძნობიარო ორგანოთ დაჩლუნგება, მეხსიერებისა და გონების შესუსტება, ენის და საზოგადოდ მოძრაობის ბორძიკი, მაჯის სუსტი ცემა და საზოგადო სისუსტე; ამას მოჰყვა სისხლ-ნაკლებულობა, სიგამხდრე და ბოლოს სიკვდილი.

თუ ზოგიერთი მოყვანილ ფაქტთაგანი ძველ ანატომ-ფიზიოლოგთათვის ადვილი ასახსნელი იყო, სამაგიეროდ დანარჩენნი შებურვილნი იყვნენ მათთვის შავის ნისლით; მართლაც, ძნელი არ იყო აეხსნათ ღვიძლის ამოჭრის გამო სიკვდილი ცხოველისა, რადგან ეს ორგანო ამზადებს ერთგვარ ნივთიერებას—ნაღველას, რომელიც ღვიძლიდგან უწყებულის მილით გამომდინარეობს და ჩაღის ნაწლევებში, სადაც ასე თუ ისე ხელს უწყობს საჭმლის მოხარშვას. ძნელი არ იყო აეხსნათ ამავე გვარად კუჭის-ქვეშე ჯირკვლის ამოჭრის-გამო დაავადება და სიკვდილი, რადგანაც ეს ჯირკვალიც ამზადებს და შემდეგ ნაწლევებში ჩააქვს ერთგვარი სითხე, რომელიც აგრეთვე ხელს უწყობს საჭმლის მოხარშვას. ერთის სიტყვით, ყველა იმ შინაგან ორგანოთა შესახებ, რომელსაც-კი გამოსატანი მილი აქვს (ღვიძლი, კუჭის-ქვეშე ჯირკვალი, თირკმელები) და ამზადებს უწყებულს სითხეს, შეიძლებოდა ამნაირი ახსნა-განმარტება მოეცათ; მაგრამ დანარჩენ ორგანოების გამო, როგორიც არის, მაგ., ფარის-მზგავსი ჯირკვალი, ელენთა, სქესებრივი ორგანონი, თირკმელების-ზედა ჯირკვლები, ასეთი ახსნა შეუძლებელი იყო, რადგან ეს ორგანონი მოკლებულნი არიან გამომტან-მილებს მათგან დამუშავებულ სითხისას და თითქოს არაფრით არ არიან შეკავშირებულნი სხეულთან. რომ ეს ორგანონიც უმნიშვნელონი არ არიან ცხოველთა სხეულის სიცოცხლის წესიერ მიმდინარეობისათვის, ეს ჩვენ დაგვანახვა ცხადად ზემორე მოყვანილმა ცდამ, ხოლო საქმე ის არის, თუ რაში მდგომარეობს სახელდობრ მათი დანიშნულება და როგორ გამოიხატება იგი. დღეს ფიზიოლოგთ (თარხნიშვილს, პელს და სხ.) საეჭვოდ აღარ მიაჩნიათ, რომ შიგ ამ უკარო ჯირკვლებში მზადდება საჭირო ნივთიერებანი, როგორიც არის, მაგალითებრ, სპერმინი და იქნება კიდევ სხვაც, რომლებიც პირდაპირ სისხლში გადადიან და აქ ასრულებენ თავისს დანიშნულებას. ამ სწავლას დღეს უწოდებენ „თეორიას ორგანოთა შიდა-სეკრეციისას“, რადგან უხილავად ამზადებენ ეს კარჩაკეტილი ორგანონი საჭირო ნივთიერებათ და უხილავადვე გარდააქვთ სისხლში.

(დასასრული იქნება)

---

3) თირკმელებს იმერეთში უწოდებენ ქაჭებს, ხოლო ელენთას—ტყლიპს.

4) შაქრის ავადმყოფობას უწოდებენ მაშინ, როდესაც შარდში ბევრი შაქარი მოიპოვება და აგრეთვე რაოდენობა დღიურის შარდისა ზომაზედ გარდამეტებულია.

— პეტერბურგში არსდება სასოფლო-სამეურნეო სინდიკატი, რომელსაც აზრად ის ექმნება, რომ რუსეთის მეურნეთ გაუადვილოს საქმის დაჭერა საზღვარ-გარეთელ ფირმებთან.

— სამოსწავლო უწყებას აზრადა აქვს გააფართოვოს საბუნების-მეტყველო საგნებისა, მათემატიკისა და ახალ ენების სწავლება რეალურ სასწავლებლებში. ამ საგნის განხილვას ამ ცოტა ხანში შეუდგებიან. აზრადა აქვთ გადაათვალიერონ და სრულიად შესცვალონ აგრეთვე დედათა გიმნაზიების პროგრამაც.

— შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შემდგარი განსაკუთრებული საბჭო ამ თვის გასულს საბოლოოდ განიხილავს პროექტს საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ იმ გუბერნიებში, სადაც ჯერ არ არსებობს ასეთი დაწესებულებანი.

უცხოეთი

სერბია. მოგვყავს ზოგიერთი უმთავრესი დებულება სერბიის ახალ კონსტიტუციისა, რომელიც 6 აპრილს 1901 წლისას იქმნა გამოცხადებული:

„სერბიის სამეფო — მემკვიდრეობითი საკონსტიტუციო მონარქიაა. სახელმწიფო სარწმუნოებას სერბიაში შეადგენს აღმოსავლეთ მართლ-მადიდებელთა სარწმუნოება. სერბიის ეკკლესია დამოუკიდებელია. იგი არც ერთის უცხოურ ეკკლესიისაგან დამოკიდებული არ არის, მაგრამ სარწმუნო დოგმებში აღმოსავლეთ მსოფლიო ეკკლესიასთან ერთობა აქვს. კანონის წინაშე ყველა სერბიელი თანასწორია. სერბიაში თავად-აზნაურობა არ არის. სერბიის მოქალაქეთ არ შეიძლება მიენიჭოთ ხარისხი და წოდება თავად-აზნაურისა. პირადი თავისუფლება კონსტიტუციით უზრუნველყოფილია. არ შეიძლება არავისი დასჯა ისრე, ვიდრე არ გასამართლდება და კანონიერი საშუალება არ მიეცემა თავი დაიცვას. სერბიის სასამართლონი სრულიად დამოუკიდებელნი არიან. სასჯელი მხოლოდ კანონით შეიძლება დაედოს ადამიანს და მხოლოდ იმ საქმეების გამო, რომელთა შესახებაც სასჯელი კანონით ადრევე გარდაწყვეტილია. სახელმწიფო დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯა გაუქმებულია. სერბიის მოქალაქე არაფრის გულისათვის არ შეიძლება სამშობლოდგან განდევნილ იქმნეს. სამხედრო, სადამქრო სამართალი არ არსებობს. საცხოვრებელი სახლები ხელ-შეუხებელია. საკუთრება, რა გვარიც უნდა იყოს, ხელ-შეუხებელია. კონფისკაცია ქონებისა, რა შემთხვევაშიაც უნდა იყოს, აკრძალულია. სინიდისის თავისუფლება განუსაზღვრელია; ყველა სარწმუნოებანი, რომლებიც სერბიაში არსებობენ, თავისუფალნი არიან. აკრძალულია ყოველგვარი მოქმედება აღმოსავლეთ-მართლ-მადიდებელთა სარწმუნოების წინააღმდეგ (პროზელიტიზმი). სკოლის საქმენი თავისუფლად ითვლებიან, პირველ-დაწყებითი სწავლება უფასო და სავალდებულოა. ყოველს სერბიელს უფლება აქვს კანონის მიერ განსაზღვრულის წესით თავისი აზრი გამოსთქვას: სიტყვით, ბეჭდვითა და სურათებით. ბეჭდვის საქმე თავისუფალია. არ შეიძლება დაწესდეს რაიმე ცენზურა, ან და სხვა შემავიწროებელი საშუალებანი, რომელიც გამოცემას ან გასყიდვას და გავრცელებას გაზეთებისასა და ბიულეტენებისას დააბრკოლებს. სერბიის მოქალაქეთ უფლება აქვთ უიარაღოდ და მშვიდობიანად ყველგან მოახდინონ ყრილობა. დახურულს ადგილას ყრილობის მოხდენა შეიძლება მთავრობის ნება-დაურთველადაც. სერბიის მოქალაქეთ უფლება აქვთ შეერთდნენ (ასოციაციები შეადგინონ), მაგრამ არა კანონის წინააღმდეგის აზრით. სახელმწიფო დამნაშავეთა გაცემა აკრძალულია. (მეფის მემკვიდრეობის შესახებ ამ დღეებში გვქონდა მოხსენებული). საერო კრებას („სკუპშჩინას“) შეადგენს 136 დეპუტატი; ზედა პალატაში 51 დეპუტატია; ამათგან სრულ წლოვანი მემკვიდრე ტახტისა (მამაკაცი), მიტროპოლიტი სერბიისა და ეპისკოპოსი ნიშისა აუცილებელ წევრებად ითვლებიან; აგრეთვე ითვლებიან სამუდამო წევრებად ის 30 წევრი, რომელთაც ზედა პალატაში მეფე ირჩევს. 18 წევრს ხალხი ირჩევს ზედა პალატაში: 2 ირჩევს ბელგრადი, ხოლო 16—16 ს თითოეული ოლქი ცალკე. არჩევნის უფლება ყველა 21 წლის სერბიელსა აქვს, თუ-კი რომ იგი სახელმწიფო გარდასახადს იხდის. ერთის ოლქის ამომრჩეველნი ერთს სხეულს შეადგენენ და კენჭს აძლევენ თითოეულს კანდიდატს ცალკე-კი არა, არამედ ერთად სიაში დასახელებულთ. აგრეთვე ირჩევენ ქალაქებიც, თუ რომ ერთზედ მეტს დეპუტატს გზავნიან. სკუპშჩინის წევრთ 4 წლის ვადით ირჩევენ.

სასამართლოს მატიანე

სამშაბათს, 10 აპრილს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა საქმე ლეჩხუმის მაზრის სოფელ ჩხუტელის მცხოვრებთა სიმონ გიგის ძის ახვლედიანისა (37 წ.), პავლე სამუელის ძის დამნიანისა (26 წ.) და ამავე სოფლის მამასახლისის თანაშემწედ ნამყოფის გლეხის მაქსიმე კაცია ძის ჩაპრავასი (28 წ.), რომელთაგან ახვლედიანს ის ბრალი ედებოდა, რომ მან გიგო მეგელიანისაგან ნასესხებ 65 მან. გარდახდის თავიდგან ასაცილებლად წარუდგინა ლეჩხუმის მომრიგებელ მოსამართლეს ყალბი კვიტანცია, ვითომც მისგან მეგელიანს უკვე მიღებული ჰქონოდეს ნასესხები 65 მანეთი, პავლე დამნიანს,—რომ მან ახვლედიანის თხოვნით შეადგინა კვიტანცია მოვალის გიგო მეგელიანის სახელით, ხოლო ხელ ხელი მოაწერა მაშინ უკვე გარდაცვალებულის მამასახლისის თანაშემწის დიმიტრი მეგელიანის მაგიერ, და მაქსიმე ჩაპრავას—რომ მან თავისის ბეჭდის დასმით შეამოწმა კვიტანცია, რომელზედაც მისი წინამადგილეს—უკვე გარდაცვალებულის მეგელიანის ხელი იყო ზედ მოწერილი.

პირველად ეს საქმე განუხილავს ქუთაისის ოლქის სასამართლოს, რომელსაც დამნაშავედ უცვნია სამივენი და გარდაუწყვეტია ყოველისავე პირადად თუ მდგომარეობით მოპოვებულ უფლება უპირატესობათა ჩამორთმევა და პავლე დამნიანისა და სიმონ ახვლედიანისათვის ასტრახანის გუბერნიაში გარდასახლება ორის წლის ვადით დანიშნულ ადგილიდგან განუშორებლად, ხოლო მაქსიმე ჩაპრავასათვის ერთის წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა. ბრალდებულთ ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება გაუსაჩივრებიათ ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში, სადაც მათ იცავდა ნაფიცი ვექილი ბ-ნი ოპოჩინინი. პალატამ უდანაშაულოდ იცნო მაქსიმე კაცია ძე ჩაპრავა, ხოლო ბრალდებულთა სიმონ ახვლედიანისა და პავლე დამნიანის შესახებ დაამტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი და ამასთანავე მათვე დააკისრა საქმის საწარმოებელ ხარჯის გარდახდაც.

დაბაქმორდი

ვერაფერი ბრძენია იგი, რომელიც არასოდეს არ ყოფილა სულელისაგან სასცილოდ აგდებული.

* * *

თუ ბოროტს ბოროტით გადაუხდი, ორგულს—ორგულობით, სხვას არ გინდა იმაზე უკეთესი იყო.

* * *

სჯე, ღმერთო ჩემო, მტერნი ჩემნი და შეასწარ იგინი ჩემს ბედნიერებას, ხოლო უბედურებასა მათსა მე ნუ შემასწრებ.

(ჰერდერი)

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები.

ამას წინად შეერთებულ შტატებში საოცრად მძვინვარებდა ყვავილი. ამის გამო ქალაქ მუნ-პლეზანის თვით-მმართველობამ მეტად სასტიკ ზომებს მიჰმართა: დაკეტა მთელ ქალაქში სკოლები, ეკკლესიები და საზოგადო დაწესებულებანი. რადგანაც ეკკლესიაში სიარული აღარავის შეეძლო, მღვდლებმა ნებართვა აიღეს წირვის გარდახდისა ცარიელს ეკკლესიაში, ხოლო მრევლს ურჩიეს, წირვა ტელეფონით მოესმინათ. ბევრმა მღვდელმა ქადაგებაც-კი წარმოსთქვა ცარიელს ეკკლესიაში.

* * *

მარტის უკანასკნელ რიცხვებში ზღვაში ჩაუშვეს ერთის საპაროსნო საზოგადოების მიერ გაკეთებული გემი—„Celtik“-ი, რომელიც ამ ჟამად უდიდესი გემია მთელს დედამიწის ზურგზედ. სიგრძე ამ გემისა 233 მეტრია, სიგანე 25 მეტრი. ახალი გემი მეტად მდიდრულად არის თურმე მოწყობილი. ამ გემის „ეკიპაჟი“ 335 კაცისაგან შესდგება.

* * *

როგორც ნიუ-იორკიდგან იუწყებიან, ამ ქალაქის ერთ საქველმოქმედო საზოგადოების დაწესებულებაში სცხოვრობს თურმე ამ ჟამად მოხუცი ნოე რაბი, რომელსაც ამას წინად უდღესასწაულნია დაბადებიდგან 129 წლის შესრულება. რაბი ამერიკის რევოლიუციამდე დაბადებულა, კარგად ახსოვს თურმე გეორ ვაშინგტონის სიტყვები, იორკტოუნში წარმოთქმული.

* * *

სოფიაში, მთავრის ფერდინანდის მეცადინეობით, არსდება ბოლგარიის საერო მუზეი. მთავარმა 50,000 ფრანკი გადასდო ამისათვის. მუზეიმ უნდა წარმოადგინოს ბოლგარიის განვითარების ისტორია ოსმალეთისაგან განთავისუფლების შემდეგ.

* * *

როგორც სტატისტიკურის ცნობებიდგანა სჩანს, 1899 წელს ყველაზედ მეტი ყავა შეერთებულ შტატებს მოუხმარია, სახელდობრ 344,000,000 ინგლისურ გირვანქა, ყველაზედ ცოტა რუსეთს—18,000,000 გირვანქა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 აპრილი

პეტერბურგი. ვოლგა-კამის საკომერციო ბანკის საზოგადო კრებაზედ დამტკიცებულ იქმნა ბანკის 1900 წლის მოქმედების ანგარიში. წმინდა მოგება 3,636,080 მანეთია.

ლონდონი. კიტჩენერი დეპეშით იუწყება პრეტორიიდგან, რომ სამხრეთ-აფრიკის თავისუფალ მეომართა 39 როტა დღეს წავიდა სამშობლოშიო, ე. ი. ბრძანება მიიღეს ამ როტებმა ნავთსადგურებში წავიდნენ და გემებში ჩასხდნენ.

ბომბეი. დღეს აქ გემი მოვიდა, რომელზედაც ტყვე ბურები არიან.

ლონდონი. სტანდერტონიდგან იუწყებიან, რომ ბურთა მთავარსარდლის მეუღლე, ქ-ნი ბოტა, ეს არის ეხლა დაბრუნდა თავის ქმრისაგანაო. ქ-ნ ბოტას დიდი იმედი აქვს, რომ იმისი მეცადინეობა ზავის ჩამოგდების საქმეში დაგვირგვინდება. ქ-ნი ბოტა ეხლა პრეტორიაში წავიდა, რათა ყოველივე აცნობოს კიტჩენერს.

პეკინი. ინგლისისა, საფრანგეთისა, შეერთებულ შტატებისა, ჰოლანდიისა, ბელგიისა და იტალიის ელჩებმა, რომელთაც დავალებული ჰქონდათ პროვინციის მოხელეთა დასჯის საქმის განხილვა, წარუდგინეს სადიპლომატო კორპუს მოხსენება. ამ მოხსენებაში სურვილია გამოცხადებული, რომ ოთხი მანდარინი კიდევ იქმნას დასჯილი, 80—განდევნილი და ხარისხ ჩამორთმეული.

შანხაი. იმ სამხედრო ჯილდოს რაოდენობა, რომელსაც ჩინეთს მოსთხოვენ, უდრის 450,000,000 ტაელს.

11 აპრილი

პეტერბურგი. დანიშნულ იქმნენ: იმიერ-ბაიკალიის ოლქის სამხედრო გუბერნატორი გენ.-ლეიტ. მაციევსკი—თურქესტანის გენერალ-გუბერნატორის თანაშემწედ; გენერალ-ლეიტენანტი სუბბოტიჩი—იმიერ-ბაიკალიის ოლქისა და თურქესტანის ჯართა მე-2 კორპუსის უფროსად.

სოფია. ის გამომძიებელი, რომელსაც მიხაილენისა და ფიტოვსკის მოკვლის საქმე ჰქონდა ჩაბარებული, გადაყენებულ იქმნა გამოძიების დაგვიანებისათვის.

მაკედონიის კომიტეტის ახალმა თავმჯდომარემ მიხაილოვსკიმ განაცხადა, საქმეს ისე წავიყვან, რომ ბერლინის ხელ-შეკრულება შესრულებულ, ხოლო თუ შესაძლებელი იქმნება, გადათვალიერებულ იქმნასო.

ბერლინი. უკანასკნელის ცნობებით, ახალ სადამოჟნო გარდასახადს გერმანიის მოკავშირე მთავრობანი ცალკ ცალკე განიხილავენ დაწვრილებით, ასე რომ ძნელი მოსალოდნელია, ეს ხელ-შეკრულება საიმპერიო სეიმში მომავალ ზამთრამდე იქმნას შეტანილი.

ბერლინი. გრაფი ვალდერზეე დეპეშით იუწყება პეკინიდგან, რომ კალგანში გაგზავნილმა რაზმებმა ვერავითარი ჯარი ვერა ჰნახეს იქაო.

ლიხუნჩანგმა განაცხადა, [illegible] ნერალის ლიუს ჯარი გუალუდგ შანსიში წავიდაო.—ოთხშაბათს სიკვდილით დასაჯეს კაპიტანს ბარ იმ ადგილას, სადაც დანაშაულობ ჩაიდინა.—გენერლების ბაილიუსა და კეტლერის ჯარი დიდ კედლამდე ავიდა. წინააღმდეგობა არავის გაუწევია.

ლონდონი. როგორც გუშინდელ გაზეთებს ატყობინებენ, კარლაილის სიმაგრეში, კორკას მახლობლად აჯანყებულა მიუნსტერის ფუზილერთა მე-5 ბატალიონი. აფიცრების დარიგების მიუხედავად, ბატალიონი უარზეა და ფარდულებში არა დგება. თუმცა ჯარის კაცებს იარაღი ჩამოართვეს, მაგრამ კორკასა და მახლობელ ადგილებში ამ ჯარის კაცთა ყოფა-ქცევა ყველას აფიქრებს.

კაპშტადტი. პუშმანლანდიდგან მეამბოხენი გორაკზედ ავიდნენ პელლის მახლობლად. როგორც ერთის ცნობიდგანა სჩანს, დევეტი 5 აპრილს გადასულა რკინის გზას ვოლვერგუკთან, მეორე ცნობით—იგი სენეკალთანაა, ხოლო კრუიცინგერი ორანჟეს ახალშენში მიდის.—„რეიტ. სააგენტოს“ რასმიდგან დეპეშით ატყობინებენ, ბურების პატარა რაზმები ყველგანა ჩნდებიანო; ბევრგან შეტაკება მოხდა. მიდლბურგის მახლობლად სიმაღლეებიდგან ცეცხლით ნიშნებს აძლევენ ერთმანეთს, იმათ იქ გელიოგრაფის აპარატი დადგეს. ბურები ხშირად გადადიან რკინის გზას, მაგრამ სამხედრო მატარებლები ნებას არ აძლევენ ლიანდაგის გაფუჭებისას.

კაპშტადტი. ოფიციალური ცნობებით, იმ ტყვე ბურთა რიცხვი, რომელნიც ჯერ ორანჟეს ახალშენში და ტრანსვაალში არიან, უდრის 18,934-ს.

წერილი რედაქციის მიმართ.

უღრმესს მადლობას ვუცხადებ ბ-ნს თედორე ნიკოლოზის ძეს ბარამიძეს, რომელმაც ჩემდამი რწმუნებულ მაკვანეთის (გურიაში) მთავარ-ანგელოზის შტატის ეკკლესიის სასარგებლოდ ბაქოში 50 მანეთი შეაგროვა. მადლობას ვუცხადებ აგრეთვე ბ-ნთ შემომწირველთაც.

მაკვანეთის მთავარ-ანგელოზის შტატის ეკკლესიის მღვდელი ერმოლაოზ კალანდარიშვილი

* * *

სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები:

შაბათს, 14 აპრილს

ნიკოლოზ ქაჯარიშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლა ედება ბრალად.

სოლომონ კუტუხიძისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-1641,1115 და 1459 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა ბრალდება.

თეოფილე ბაბუნაშვილისა, რომელსაც ქურდობის ჩადენა ბრალდება.

ვასილ აიდიაშვილისა, რომელსაც მკვლელობის ჩადენა ბრალდება.

ვლადიმერ გვიმრაძისა—კაცის მძიმე დაჭრა ედება ბრალად.

* * *

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11-го Апрѣля 1901 г.

სტამბა მ. შარაძის და ამხ.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.